ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

N 30
23/06/2020

30-06-4-202006231146

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1.

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების საფუძველზე საქართველოს რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოწონებული იქნას საპროექტო წინადადება: „სოფელ საირმეში ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან ბიზნესის განვითარების მიზნით მისასვლელი ბილიკების მოწყობის შესახებ“

მუხლი 2.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის თანადაფინანსება განისაზღვროს 9860 ლარით.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ.ცაგერი, რუსთაველის ქ.№69).

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო